



## საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

2 სექტემბერი 2013 წელი

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №256

**ინდივიდუალური მეწარმე – მაკა რამიშვილისთვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „პ.ბ“ და „პ.გ“ ქვეპუნქტების, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19<sup>5</sup> (პრიმა) მუხლის, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“-ს II-ე თავის და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების საჯარო აუქციონის ფორმით განკარგვის და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 1 დეკემბრის №42 დადგენილების შესაბამისად:

### ე ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ინდივიდუალური მეწარმე - მაკა რამიშვილს (პ/№33001010779) გადაეცეს სასყიდლიანი უზუფრუქტით, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, 10 წლის ვადით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ლაითურში მდებარე ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე არსებული ერთო ოთახი, ფართით 38.5 კვმ. (სარეგისტრაციო ზონა 26, სექტორი 25, კვარტალი №12, ნაკვეთი №003, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი №882009121155, მომზადების თარიღი 30.04.2009წ.)

2. ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.№14).

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ავთანდილ სურგულაძე